



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Finance – budgetary Commission

N 3699-02
12/03/2019

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ქავთარაძეს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 12 მარტს გაიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგით #30 სხდომა, რომლის დღის წესრიგით განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

- 1) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შესრულების ანგარიში;
 - 2) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ.
- პირველი საკითხის შესახებ

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 35 978,5 ათას ლარს, ხოლო 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ბიუჯეტი განისაზღვრა 47 353,8 ათასი ლარით.

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კუთხით დაფიქსირდა შემდეგი მონაცემები :

შემოსავლების გეგმა შესრულებულია 104%-ით, მ.შ.: გადასახადების გეგმა-108%-ით, გრანტების გეგმა-100%-ით, სხვა შემოსავლების გეგმა-108%-ით. არაფინანსური აქტივების კლების გეგმა შესრულდა 107%-ით, საიდანაც 72% მიწის გაყიდვიდანაა მიღებული.

გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2018 წლის გეგმა შეადგენდა 47 353,7 ათას ლარს, ხოლო მთლიანი საკასო ხარჯმა შეადგინა 39 314,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 83%-ია. კონკრეტული მუხლების მიხედვით : შრომის ანაზღაურება დაფინანსდა გეგმის-98%-ით, საქონელი და მომსახურება-93%-ით, სასესხო ვალდებულებების პროცენტი-96%-ით, სუბსიდია-98%-ით, გრანტები-93%-ით, სოციალური უზრუნველყოფა-94%-ით, სხვა ხარჯები-74%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა-55%-ით, ვალდებულებების კლება-100%-ით.

გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2018 წლის გეგმა შეადგენდა 46 563,2 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 38 524,2 ათასი ლარი, რაც 74%-ია. საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა გეგმის-95%-ით, თავდაცვა-92%-ით, ეკონომიკური საქმიანობა-58%-ით, გარემოს დაცვა-95%-ით, საბინაო-კომუნალური მეურნეობა-71%-ით, განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია-93%-ით, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა-95%-ით. დაფინანსებულ მუხლებში ფიქსირდება სახსრების ათვისებლობის ფაქტები. კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობიდან- გზების რეაბილიტაცია სპეციალური ტრანსფერით და ადგილობრივი სახსრებით ათვისებულია შესაბამისად 51%-ით და 65%-ით, საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი/სათვალთვალო სისტემების მოწყობა-66%-ით; საბინაო-კომუნალური მეურნეობიდან-ბინათმშენებლობა დაფინანსებულია 50%-ით, კომუნალური მეურნეობის განვითარება-40%-ით; განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია-ბაგა-ბალების რეაბილიტაცია სპეცტრანსფერით და ადგილობრივი სახსრებით დაფინანსებულია შესაბამისად 42%-ით და 60%-ით, სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია ადგილობრივი სახსრებით და სპეცტრანსფერით შესაბამისად-72%-ით და 59%-ით, კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია-15,8%-ით, რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა-73%-ით. სახსრების ათვისებლობის მიზეზები ახსნილია შესაბამისი განმარტებებით. ძირითად მიზეზად კი მოყვანილია გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი სამუშაოების გამრავალწლიანება და ნაშთის სახით 2019 წლის ბიუჯეტში გადასვლა.

2018 წლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი ფიქსირდება 9 741,8 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდი ათვისებულ იქნა 85%-ით.

განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს ბიუროზე გატანას.

➤ მეორე საკითხის შესახებ

განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს ბიუროზე გატანას.

გრიგოლ ვეფხვაძე

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო